

**თადეუშ-ლადა ზაბლოცკის როლი პოლონურ-
ქართული ლიტერატურული კონტაქტების
განვითარებაში**

**THE ROLE OF TADEUSZ-LADA ZABLOTSKY IN THE
DEVELOPMENT OF POLISH-GEORGIAN LITERARY
CONTACTS**

მარიამ ფილინა

Mariam Filina

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: თადეუშ-ლადა ზაბლოცკი, პოლონურ-
ქართული ლიტერატურული კონტაქტები

Keywords: Tadeusz-Lada Zablotzky, Polish-Georgian literary contacts

კავკასიაში მყოფი პოლონური საზოგადოების სულიერი ლიდერები ლიტერატორები იყვნენ. ეს მისია ითავა, ფაქტობრივად, თბილისში ტადეუშ ლადა-ზაბლოცკიმ. მან კავშირების მთელი სისტემა შექმნა კავკასიაში გადმოსახლებულებსა და სამშობლოში დარჩენილ თანამემამულეებს შორის. იანიშევსკის მტკიცებით, რომელიც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ზაბლოცკის როლს, „იგი იყო გამომცემლებისა და წიგნით მოვაჭრეების ერთადერთი შუამავალი. საიდუმლო სკივრებიდან და სხვებისთვის დახშული ქისებიდანაც კი შტურმით ახერხებდა წიგნებისთვის თიოეული მანეთის მოპოვებას, მის ხელისმომწერთა სიაში ხშირად ირიცხებოდნენ თათრები და ლეკები, რომლებმაც ისიც კი არ იცოდნენ, რომ ამქვეყნად პოლონეთი არსებობდა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ლადა თავის დანიშნულებას ასრულებდა. ეს მისი მანია იყო, საქმისათვის ნახულობდა დროსაც და ძალებსაც“.

ზაბლოცკის დამსახურებათა ნუსხა საკმაოდ დიდია და ამ დამსახურებებს ადასტურებს მისი ამხანაგების არაერთი აღიარება – ეპიგრაფები, ციტატები, მისი ნაწარმოებების დამოწმებები, რომლებიც მეტყველებს როგორც მისი ლიტერატურული ავტორიტეტის რანგზე, ისე კავკასიის პოლონური საზოგადოების კონსოლიდაციაზეც. იგი, როგორც კავკასიაში ცნობილი პოეტი, ადრესატი იყო პოეტური გზავნილებისა.

ზაბლოცკი დაუღალავად იღვწოდა, რათა გაეღრმავებინა გადასახლებული თანამემამულეების კავშირები პოლონეთის გამომცემლებთან და ჟურნალებთან. მათი შემოქმედების ქომაგი იყო და მათ პოლონურ ალმანახებში წარმოაჩენდა. მაგალითად, ცდილობდა, ვლადისლავ სტშელნიცკის ტექსტებით დაეინტერესებინა „Tygodnik Petersburgski“, სტანისლავ ვინიციკის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრეობა კრაშევსკის გადასცა, რომელმაც „ათენეუმში“ გამოაქვეყნა ლექსები. კრაშევსკისთან და პოდბერესკისთან მიწერილ წერილებში პროპაგანდას უწევს მათ შემოქმედებას, კერძოდ, გულწრფელი კეთილმოსურნეობით წარმოადგენს კოლეგების: სტშელნიცკის, იანიშევსკის, ანჯეიკოვიჩის, კორსაკის, ვეჟბიციკის, ვინიციკის ფიგურებს. ზაბლოცკის აზრით, ამ ავტორების ნაწარმოებები იმსახურებენ, რომ მათ მკითხველი იცნობდეს.

According to the role in the group of Polish “Caucasian” writers, the first place belongs to Tadeusz Lada-Zablotsky. His figure is of most interest to researchers.

Zablotsky was exiled to the Caucasus as a soldier in 1837 for anti-royal verses. Already in the autumn of 1838, having managed to pass through the North Caucasus, he served a hundred miles from Tbilisi. After retirement, he lived in Tbilisi, where he became one of the founders of a group of Polish romantic poets.

Many events of Georgian-Polish cultural relations are associated with the name of Zablotsky. One of the significant facts is the first community of Georgian and Polish poets. Zablotsky’s circle of acquaintances is wide enough; he has been in the salon of A. Chavchavadze. Among the subscribers to his “poetry” are both daughters of the Georgian poet – Nina and Ekaterina. Mikhail Tumanishvili translated Zablotsky’s poem “Alazani Valley” into Georgian, and Zablotsky into Polish – a friend’s poem “The bowl”. The text of the “Chalice” was preserved in Zablotsky’s letter to Tumanishvili.

Lada-Zablotsky soon after arriving in the Caucasus was in correspondence with the writer Mikhail Tumanishvili, whom he managed to make friends with during his brief stay in Tbilisi. Even more, Zablotsky met Nikoloz Baratashvili through him. Judging by the letters of Zablotsky, he is burdened with military service, campaigns with a “satchel behind him.” Such is the position of almost all exiled Polish people, whose war was unpopular, they considered the struggle of the Highlanders fair and worried that they had to fight on the side of the enslavers.

